გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 68

2025 წლის 23 მაისი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე №66.46.26.003.005 საკადასტრო კოდით არსებულ მიწის ნაკვეთზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ

საქართველოში საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის სფეროს მოწესრიგების მიზნით, 2023 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი, მათ შორის, ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი". აღსანიშნავია, რომ ხსენებული ცვლილებების საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ[1]" ქვეპუნქტით, დადგენილია საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის რეფორმის ფარგლებში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება - მიიღოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6[2] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ავტოსადგური ექვემდებარება სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ სერტიფიცირებას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ავტოსადგურის სერტიფიცირების წესი, ვადა და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით. „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსადგურის და ავტოსადგომის ფუნქციონირების წესისა და პირობების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №442 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი (შემდგომში: „ № 442 ტექნიკური რეგლამენტი") ადგენს ავტოსადგურების ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების, საწარმო და საყოფაცხოვრებო ობიექტების მიმართ უსაფრთხოების, ადამიანთა და ცხოველთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოსა და საკუთრების დაცვის მოთხოვნებს, ასევე, აღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ავტოსადგურების სერტიფიცირების წესსა და პირობებს. ამასთან, № 442 ტექნიკური რეგლამენტის მე-12[2] მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, ავტოსადგურის სერტიფიკატის აღების მიზნით დაინტერესებულმა პირმა სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს უნდა წარუდგინოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის თაობაზე, გაცემული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსთან კონსულტაციით; აქვე, აღსანიშნავია,

რომ №442 ტექნიკური რეგლამენტის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, ავტოსადგურს სერტიფიკატის მიღებისა და ამავე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულება წარმოეშობა 2025 წლის 1 ივნისიდან.

ზემოაღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია აღნიშნულია ასევე საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2024 წლის 21 აგვისტოს № 05/6098 წერილში, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის მერიას გადაეგზავნა გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის 2024 წლის 5 სექტემბრის №07/3889 წერილით. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს აღნიშნულ წერილში მითითებულია, რომ საავტომობილო სამგზავრო გადაყვანების შეუფერხებლად განხორციელებისათვის, მიზანშეწონილია საქართველოში უკვე არსებულ ან ახალ ავტოსადგურებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელდეს მის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ზემოაღნიშნული გარდამავალი პერიოდის გათვალისწინებით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შპს „ბუქო-777"-ის 2025 წლის 20 თებერვლის №10/2025051186-20 წერილი, რომელსაც სარგებლობის უფლებით გადაცემულ, გორის მუნიციპალიტეტის კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.46.26.003.005) განთავსებული აქვს მე-2 კლასის ავტოსადგური და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.46.26.003.005) ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ და მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე №66.46.26.003.005 საკადასტრო კოდით არსებულ მიწის ნაკვეთზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსთან კონსულტაციის შედეგად, აღნიშნული სააგენტოს 2025 წლის 14 მაისის № 04/529 წერილის თანახმად, „ავტოსადგურის და ავტოსადგომის ფუნქციონირების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №442 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-12[2] მუხლის მე-2 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით ავტოსადგურის ფუნქციონირება ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე №66.46.26.003.005 საკადასტრო კოდით არსებულ მიწის ნაკვეთზე ავტოსადგურის განთავსება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ[1]" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე №66.46.26.003.005 საკადასტრო კოდით არსებულ მიწის ნაკვეთზე ავტოსადგურის განთავსება.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

საქართველო. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA. GORI MUNICIPALITY ASSEMBLY
ᲒᲝᲠᲘ
* 218086087 *

დავით რაზმაძე